№ 172 აგვისტო 11, შაბათი 1890 აგვისტო 11, შაბათი № 172

„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, აგჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მეორედ-დასაწერი ეგზამენები ხსენებულს სასწავლებელში იქნება 25 და 27 აგვისტოსა, სასწავლებელში მისაღები-კი 28 აგვისტოსა ამა წლისასა. (3—1)

ტფილისი, 10 აგვისტო

„ივერიაში" ამას წინად დაბეჭდილი იყო ბ-ნ ისიდორე რამიშვილის წერილი სახალხო ბიბლიოთეკების დაარსების საჭიროებაზე. წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოების დაარსებას ფული სჭირდებაო, ამბობს ბ-ნი რამიშვილი და, რადგანაც ღარიბი ჯიბე სოფლის მასწავლებლისა ამ ხარჯს ვერ იტვირთებსო, სთხოვს ჩვენ განათლებულსა და შეგნებულს საზოგადოებას დახმარებას ფულითა და წიგნებით გურიის მასწავლებელთა მიერ ახლად დაარსებულ წიგნთ-საცავისა და სამკითხველოსათვის. ჩვენ უკვე გვქონდა „ივერიაში" ამ საგანზე ლაპარაკი და განმეორებით მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ. საჭიროება და სარგებლობა ამ გვარი წიგნთ-საცავებისა ისე თვალსაჩინოა, რომ ამაზედ მეტი ლაპარაკი სწორედ წყლის ნაყვა იქნება. ამ გვარი საჭიროება იყო მიზეზიო, ნათქვამი გვქონდა იმ წერილში, რომ ხარკოვის გუბერნიის ერთმა სამამასახლისომ თავისი მცირე შეძლებით დაარსა სამკითხველო და წიგნთ-საცავი და შემდეგ დიდი თანაგრძნობაც მოიპოვა რუსეთის სხვა კუთხეებშიაც. იქვე გვქონდა ნაჩვენები, თუ რა გზით უნდა აიღონ ნება-რთვა, ვისაც-კი სურს წიგნთ-საცავის დაარსება.

დღეს ჩვენ გვსურს, მივაქციოთ მკითხველის ყურადღება მეორე საგანს, რომელსაც წიგნთ-საცავებისა და სამკითხველოს დაარსებასთან დიდი კავშირი აქვს. უეჭველია, თუ სადმე სამკითხველოები დაარსდება, სოფლის მასწავლებლის ხელში იქნება. სოფლის მასწავლებელია სრული გამგებელი და პატრონი სახალხო სკოლისა, ამ უკანასკნელის ბედი და უბედობა მასწავლებლის ხელშია. რომ რიგიანად წავიდეს სკოლის ბედი, საჭიროა თვით მასწავლებელი იყოს განვითარებული და შეგნებილი კაცი. მასწავლებელია სკოლის სული ჩამდგმელი და მისთვის საკმარისი არ არის საშუალო სასწავლებელში შეძენილი ცოდნა; საჭიროა, რომ მასწავლებელი არ ჩამორჩეს თანამედროვე განათლებას, არ მოსწყდეს განათლების ცხოველს წყაროს. როგორ უნდა მოხდეს ეს? რასაკვირველია, ახალ-ახალის წიგნების კითხვით. საქმეც იმაშია, რომ მასწავლებელს თავისი მცირე ჯამაგირით (ბევრი მათგანი თთვეში 25 მანეთზე მეტს არ იღებს) არ შეუძლიან წიგნების მოპოვება და ხშირად რომელსამე მიყრუებულს სოფელშია დარჩენილი სრულიად უნუგეშოდ და რაც დრო და ჟამი გადის, იმდენი უფრო და უფრო განვითარების მხრივ უკანა რჩება და შეიძლება ბოლოს სრულიად გამოთაყვანდეს კიდეც და საქმე ჭირივით შესძულდეს.

აი რასა სწერს ერთი საკითხავ წიგნებს მოკლებული მასწავლებელი: „არ ვიცით, რა ვიკითხოთ, არა გვაქვს არც რიგიანი წიგნი და არც საზოგადოებაა, რომ მასთან საუბრით მაინც მოვიოხოთ დამწვარი გული. გამოჩერჩეტების მეტი აღარა დაგვრჩენია-რა. თუ ათასში ერთხელ შევხვდებით განვითარებულს კაცს, გულზე ცეცხლი გვეკიდება, ვგრძნობთ ჩვენს სრულს უვიცობასა და ღონე-კი არა გვაქვს, რომ თავს ვუშველოთ და ნელ-ნელა, ხელ-მეორედ ვვარდებით უსაგნო ცხოვრების მორევში". მოგვეცით წიგნებიო, ასე ათავებს მასწავლებელი თავის მწარე წერილს. (იხ. «Р. М.» № 7).

მეორე სოფლის მასწავლებელი უნუგეშო სურათს ჰხატავს თავის მოძმისას, რომელიც მიყრუებულს სოფელშია სადღაც გადაკარგული: „სრულიად მარტოდ-მარტო ჰგრძნობ შენს თავს; ხშირად, დახმარებისა და გამხნევების მაგიერ, დაცინვა გესმის საზოგადოებისაგან. აი სწორედ ამ დროს მოგივლის ქინი და გინდა ჩაიყურყუმელავო წიგნების მორევში, მოილაპარაკო შენსავით ტანჯულ მოძმე მასწავლებელთან, ჩახვიდე ქალაქში, იცხოვრო განვითარებულ ხალხთან და განიახლო მისუსტებული ძალა, მაგრამ რას იზამ, უფულობა ხელ-ფეხს გიხუთავს. დაგებადება თავში რამ აზრი, გინდა რომელიმე საგანი და საკითხი გამოიკვლიო, შენვე აძლევ შენს თავს პასუხს, მაგრამ განა რა პასუხია ეს უილაჯობის პასუხი? საბრალო მასწავლებელი ასეთს დროს სცდილობს საჭირ-ბოროტო საგანს უპოვოს კვანძი, გამოხსნას როგორმე, ხშირად გზა ეკარგება, ხელ-მეორედ უბრუნდება საგანს, მაგრამ თავზე ბალანი ერევა და სანატრელ პასუხს ვერა ჰპოულობს. ამიტომაც იგი ნაღვლიანდება, საქმისა და შრომის რწმენა ეკარგება, ენერგია უსუსტდება და ეჭვით ევსება გული. აი სწორედ ამ გვარ მდგომარეობაში დიდს სამსახურს გაუწევდა მას ჟურნალ-გაზეთობა, წიგნები; ამხანაგი მასწავლებელნი განუფანტავდნენ ეჭვს და დაეხმარებოდნენ, რომ ეპოვნა როგორმე პასუხი, აეხსნა და გამოერკვია ის საგანი, რომელიც ასე მედგრად სტანჯავს. მაგრამ რადგანაც გვერთ არა მოეპოვება-რა, საბრალო მასწავლებელიც თანდათან ჩერჩეტდება, საქმეზე გული უცრუვდება და ბოლოს კიდეც შეიძულებს ხოლმე. რაკი-და მასწავლებელი სწავლის საქმეს წამებადა და ტანჯვად მიიჩნევს, უეჭველია, ისიც მტანჯველად გადაიქცევა".

ამ გვარს უნუგეშო მდგომარეობაშია მომეტებული ნაწილი ჩვენის სოფლის მასწავლებლობისა და საქმეს დაუყოვნებლად შველა უნდა. ამისათვის საჭიროა თვით მასწავლებელთათვისაც დაარსდეს წიგნთ-საცავები და ამ წიგნთ-საცავებიდგან სოფელსაც უნდა შეეძლოს უფასოდ წიგნის წაღება. რადგან სოფლის მასწავლებლის მოვალეობა მეტად მძიმე და, რადგან მოზარდის თაობის ბედი და უბედობა იმასა აქვს მინდობილი, საზოგადოება ზნეობით მოვალეა დაეხმაროს მასწავლებელს და აღმოუჩინოს საშუალება წიგნთ-საცავების დაარსებისა. უამისოდ მასწავლებელი უბრალო მოხელედ გადიქცევა და მერე როგორ-და შესძლებს ჩაუნერგოს ნორჩს ბავშვს სიყვარული სამშობლოსი, როგორ-და მოახერხებს იგი განავითაროს ბავშვი და კეთილს გზაზედ დააყენოს?!.

ა. ფრონელი.

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ საქონლის მატარებელი მე-40 №-რი გორსა და სკრას შუა დაეჯახა ლიანდაგზედ მიმავალს კამეჩს, ორთქლ-მავალი წაიქცა და

## ფელეტონი

### თელავი

წელს სწორედ ნანატრი ამინდები გვაქვს კახეთში: თავის დროზე დარი დგას და თავის დროზედვე მოდის მშვიდობიანი ჟუჟუნა წვიმაც, რომელიც ალაღებს და აფრთოვანებს ადამიანის ნაჭირნახულევს ყოველ გვარს მიწის მოსავალს.

თიბათვის ნახევრამდის, დრო-გამოშვებით ჰჟინჟღლავდა წვიმა, ნახევრიდგან მკათათვის 6-მდის სულ დარი იყო, რომლის განმავლობაში დაიმკო თითქმის მთლად ყანები. 6 მკათათვეს მოვიდა წვიმა და ამას აქეთ დრო გამოშვებით საკმაო წვიმები მოდის. ყანები დაიმკო და გაჩალებული კალოებია, მარცვალი ქერსა და პურსა მსხვილი და სავსე აქვს, ხვავი და გამოსავალი ბარაქიანია. შარშანდელს ხორბალს წონით, წრევანდელი ლიტრა ორისა და სამის ქსანით (გირვანქით) აღემატება.

წელს კახეთში ვაზსაც მშვენივრად ასხია, ასე მსხმოიარე ვაზი ამ 7—8 წლის განმავლობაში არა ყოფილა; თითონ რქაც ვაზისა მეტად ნავარგები და ლაზათიანია.

წელს მილდიუს გაჰრაელებას ცუდი დარი დაუდგა კახეთში და ისე ფრთებ-გაშლილი ვერ მოედო აქაურს ვენახებს, როგორც წარსულს წლებში. მოუვლელობისაგან დაჯანდაკებულს ვენახებში, რასაკვირველია, მთლად გადაპენტილია, მაგრამ სადაც ძლიერ კარგად მოვლილი ვაზია, იმაში უფრო ცოტას შეხვდება კაცი მილდიუს. ნაცარმაც ვერა იღონა-რა წელს აქეთ. მკათათვის ხშირმა წვიმებმა გაუჩინა ვაზებს აქა-იქ კვალი ნაცრისა, რომელიც საშიშარი არ არის, ხოლო მოვლილი და მასთან ნაწამლი ვენახები სადაც არის, იქ ისეთი მტევნები აყრიათ ვაზს, როგორც დარაკრაკებული ქარვა. საზოგადოდ წელს კახეთში შესანიშნავი სრული მტევნებია, ზოგან თითქმის ნახევარი ალაბი აქვს სიგძე მტევანს, მაგრამ გასაკვირველი ის უფროა, რომ მტევანი ახირებულად არის დაყოფილი, კუფხალი მტევნისა ჩვეულებრივის მტევნის სიგძეა და მტევანი მტევანს საცეცხლურივით ჰკიდია, იმოდენად დაშორიშორებულია, რომ სანამ კარგად არ გასინჯავთ, სხვა-და-სხვა მტევანი გეგონებათ. ისეთ გლეხთან ძნელად მიხვალთ კახეთში, რომ სიამოვნებით არ მიგიწვიოთ თავის ვენახის დასათვალიერებლად: „აბა ერთი წამობრძანდით, ჩვენი ვენახიც ენახოთ, როგორ ასხია" და სხვა. როცა თხოვნას უსრულებთ, შედიხართ ვენახში და ათვალიერებთ, მაშინ თქვენს თვალს წარმოუდგება მთლად გამხიარულებული არსება გლეხისა, რომელსაც ყოველივე ვარამი გადაეწმინდება ხოლმე შუბლიზე, სიამოვნებით უციმციმებს თვალები და ეღიმება მრავლად ტანჯული სახე:

აბა, დახედეთ, ბატონო, ამ მტევნებს! კარგად-კია, თუ ღმერთმა ინება და შერჩა ბოლომდის.

— ეხლა ფიქრი აღარ არის: თვალ-შესულია ყურძენი, ველარა რას დააკლებს.

— ცის შიშია, შენი ჭირიმე, ცისა, თორემ სხვა ხომ ეხლა ამას ვერაფერი დარევს ძალას. ამ დალოცვილს ერქაც რომ იგეთი ღონიერი აქვს? ზოგან იგეთია, რომ ტაბიკზე ნაკლები სიმსხოსი აღარ არის.

— მობრუნდა ისევ მოსავალი, ჩემო მათე. აბა ამისთანა მოსავალზე უთქვამს ჩვენს საყვარელს პოეტს:

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგიგრეხია;
ჩაჰკონებიხარ ჰიგოსა,
შუაზე გადგიტეხია!"

— დიაღ! მობრუნდა, მაგრამ ისე კარგად-კი ვერ არის, შენი ჭირიმე, როგორც ძველად იყო და მე მახსოვს, გამობრუნებული-კი არის მოსავალი და მერმის-კი, ღმერთო შენითა, უთუოდ უნდა დაისხას ძველებურად ამ ნავარგებმა რქამაო, და სხვა.

ვისაც არ უნახავს ამ დროს გლეხის სახე, ნუ იტყვის, რომ მხიარული გლეხი მინახავსო.

ფეტვსა და სიმინდს ხომ ქება აღარ უნდა, მეტადრე სიმინდი ისე ყელმოღერებულად ღაღანებს, რომ ადამიანის ხარბს გულს უკეთესის ნატვრა აღარ შეუძლიან. ხილი და ბოსტნეულ-ბაღეულობაც ერთობ მრავალია და ფრიად იაფადაც იყიდება ბაზარში. თუთუნსა და ბამბასაც მშვენიერი მოსავლის პირი უჩანს წელს და აბრეშუმიც ხომ ძლიერ კარგი მოვიდა კახეთში და ერთი ოცადაც მეტი, ვიდრე წარსულ წლებში მოსულა.

კახეთში წელს არა ცხელა და მეტადრე ამ მკათათვეში ისე აგრილდა აქ, რომ ლამის თბილი ტანისამოსი მოგვაძებნინოს, მეტადრე საღამოობით...

„უქრის სიო ყვავილთ გროვებს,
უცელქობს და სუნით სთვრება,
ხან ბუჩქებში ნავარდს შეჰქმნის
და ხან წამზე სადღაც ჰქრება."

დიაღ, წელს გვარიანად არის კახეთის ვენახები, მეტადრე თელავის მაზრისა, მაგრამ ბ-ნ ინანაშვილის დასმა, ბანკის თხოვნით შედგენილმა-კი მაგდენად ვერა უშველა-რა ამ ვენახებს და დიდი უნარი ვერ გამოიჩინა. იმის მაგიერ, რომ წმინდად და ბეჯითად შესდგომოდნენ თავიანთის მოვალეობის ასრულებას, ბოლომდის გაეტანათ ნაკისრი საქმე და ამით ცოტაოდნად მაინც არის შესწეოდნენ დღეს ასე უკიდურესად დაჩაგრულს თავიანთ მოძმის ეკონომიურს მდგომარეობას, ისინი მოჰყვნენ ბალღურს თავ ხედობას, აჰყვნენ არა ქართველთა სასიკეთოდ მოვლენილ ხალხთა მისიონერობას და უკუღმართს რჩევას... გაუდგნენ განზე და სრულებით აღარა გაუგონეს-რა თავიანთს ხელ-მძღვანელს აგრონომს ბ ნ ინანაშვილს და განახორციელეს კრილოვის ანდაზა:

„თევზი იზიდავს მდინარისკენა,
კიბო უკან სწევს, გედი-ცისკენა
არ იქნა საქმე ვერ მოაგვარეს
ურემი ცოტაც ვერ გააგორეს"...

მე მგონია ყველასთვის ცხადი წარმოსადგენია, რა შედეგიც მოჰყვებოდა ასე „დედის წინ კვიცების ხტომას" —ის, რომ ისინი გადაიჩქმალნენ და განქრნენ აქედგან „ვითა ვარსკვლავნი ცისანი და ქაფნი წყლისანი"...

რომ მკითხველმა უფრო ცხოველი წარმოდგენა იქონიოს, ვინ იყვნენ ეს „ბანკის დასნი" (როგორც აქ უწოდებდნენ), ორიოდე სიტყვას ვიტყვით.

გვერდზედ გადმოვარდა, ამას გარდა ათი ნავთით დატვირთული ქვაბი დაიმტვრა. ამ მატარებლით მიმავალი ერთი ვილაც უცნობი გარდაიცვალა, ხოლო მემაშინეს თანაშემწე სატკოვსკი და კონდუქტორი ბუგიტაშვილი-კი ძალიან არიან დაშავებულნი. ამ უბედურების გამო ბათუმისაკენ მატარებლების მიმოსვლა შეყენებულია. გუშინ, დილის 8 საათზედ, ხალხისა და საქონლის მატარებელი მე-11 №-რი არ მოსულა ტფილისში.

⁂ ტფილისში უკვე ჩამოვიდა კოჯორიდგან ცნობილი სცენების მკითხველი ბ-ნი პ. ი. ვეინბერგი და ორშაბათს, 13 აგვისტოს, პირველს წარმოდგენას გაჰმართავს ქართულს თეატრში. ბ-ნს ვეინბერგს ერთი უსიამოვნო შემთხვევა ჰქონდა კოჯორში და კარგი იქნება, რომ ვაუწყოთ მკითხველებს. 6 აგვისტოს წარმოდგენა ჰქონდა კოჯორში და სხვათა შორის სომეხთა ცხოვრებიდგან წაიკითხა სასაცილო სცენები, მოუთხრო საზოგადოებას, რომ ერთმა ხამმა სომეხმა პეტერბურგში რუბინშტეინი სომეხად დასახა და დემონის წარმოდგენის დროს, როცა ლეკური დაიწყეს და ტაში-კი არავინ დაუკრა, თითონ მოაყოლა თეატრში ტაშიო. ანტრაქტში ერთი სომეხი სტუდენტი, გვარად არ—სკი, შევიდა ვეინბერგის ოთახში და მოსთხოვა, ამიერიდგან აღარ გაბედო სომხების დაცინვაო, და სილაც შემოჰკრა. ამ საზიზღარმა საქციელმა სტუდენტს ისე ჩაუარა და არავისა სწყენია, თითქოს არაფერი ამბავი იყოსო. საკვირველია, რატომ ევრაელებმა და გერმანელებმა არ იწყინეს ნიჭიერის სცენების წამკითხველის მიერ სასაცილოდ აგდება, ისინი ხომ არა ნაკლებნი იყვნენ თეატრში სომხებზედ? ნუთუ უნდა გვეთქვას ამიერიდგან რომ კავკასიელებს ნადირი ხალხი უწოდონ, როცა განათლებული(?) ყმაწვილი კაცი ამისთანა საზიზღარს საქციელს არ ერიდება და ერიდება-კი არა, თავიც მოსწონს?!

⁂ ჩვენ ამას წინად ნათქვამი გვქონდა, რომ ქართულს თეატრში ამ დღეებში ჩამოვლენ ლილიპუტები—ჯუჯა და ქონდრის კაცები და ხუთს წარმოდგენას გაჰმართავენო. აი ამ პაწია არტისტებს შესახებ რასა სწერს გაზ. „Крымъ"-ი (№ 86):

დიდის ამბით დაუხვდნენ ლილიპუტებს სიმფეროპოლში 22 ივლისს. ლილიპუტებს ზოგი ქონდრის კაცებს, ეძახიან, მაგრამ ეს სახელი-კი არ დაერქმევათ. ქონდრის კაცი მახინჯია, დუხჭირი, ან ხელები აქ ტლოყუ, ან უშველებელი თავი აბია და ან კუზიანია, ლილიპუტები-კი კოხტა და კოპწია ყმაწვილი ქალები და კაცები არიან და ნეონილა ხომ მშვენიერი ქალიც-კია. ყოველი არტისტი სიმაღლით ადლი და ორ გოჯიდგან ადლ და რვა გოჯამდე იქნება. ყველანი და-ძმანი არიან და თან დასდევთ დედა, მაღალის ტანის დედაკაცი, ქ-ნი კოსტეცკისა და ბიძაშვილი, ჩვეულებრივისავე სიმაღლის კაცი. ქ-ნი კოსტეცკის სიტყვით, არც ჩემსა და ჩემის ქმრის გვარში ასეთი ჯუჯა ხალხი არ დაბადებულა, ჩემი ქმარი ორის ადლისა და ათის გოჯის სიმაღლისა იყოვო. სულ 13 შვილი გვყავდა და 7 პატარაობისვე დაგვეხოცა. ყმაწვილები 4 წლამდე წესიერად იზრდნენ ტანს, მერე-კი ზრდა შეუდგებოდათ ხოლმე. ეს პაწია კაცუნების დასი ლექსებსა კითხულობს, ჰგალობს, ცეკვავს და პაწია ოპერეტებსა და ვოდევილებს ჰმართავს რუსულსა და მალორუსულს ენაზედ

⁂ გორის მაზრის სოფ. ჯავას ბლაღოჩინმა ზურაბ ჯიოევმა აუწყა ამ რამდენისამე თთვის წინა მის ყოვლად მაღალ უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს, რომ ერთის მაღალის მთის მწვერვალზედ, დიდლიახვის მარჯვენა მხარეს, სოფ. ხეცეს პირდაპირ, ძველი ეკკლესია სდგას, რომელიც ამ ჟამად სულ ერთიან მინგრეულ-მონგრეულია. ამ ეკკლესიის საძირკვლის ქვებში შემთხვევით უპოვნიათ ვერცხლის ყუთი, რომლის ერთს მხარეს დახატულია მაცხოვარი, ხოლო მეორე მხარეს—12 მოციქული. ეს ყუთი შიგნიდგან თორმეტ უჯრად არის განაწილებული და შიგ ცალკ-ცალკეა ჩადებული თორმეტისავე მოციქულის წმ. ნაწილები. ეს ყუთი დაუსაკუთრებიათ სოფ. ხეცეს მცხოვრებლებს საბა ხარებაშვილს, ბარძიმ თიბილაშვილს, სიმონ ფარასიაშვილს, ბ. მათიკაშვილს, დარჩო ფარასიაშვილს, მიხეილ ფარასიაშვილს, კ. თიბილაშვილს, საბა და ნონე თიბილაშვილებს, თეიმურაზ ხარებაშვილს, მალხაზ თიბილაშვილსა და გ. ყაზაშვილს, შეუდგენიათ მთელი ამხანაგობა სიმონ ფარასიაშვილის მეთაურობით და ეს ძვირფ სი წმ. ყუთი ტყეში აქვთ დამალული. კვირაკეს ყოველთა წმინდათას ამ ალაგას იყრის თავს ხალხი შორეულ ადგილებიდგანაც-კი და დიდ-ძალს ფულსა სწირავს წმ. ხატს. ამ ფულს ზემოხსენებულნი გლეხნი თითონ იდებენ ჯიბეში და ჯავის ეკკლესიას არ უბრუნებენ ხატსაო. ეს გარემოება საქართველოს ეგზარხოსმა უკვე აუწყა ტფილისის გუბერნატორს თ. შერვაშიძეს და სთხოვა, რომ განკარგულება მოახდინეთ, რათა ეს ხატი გამოერთვას იმ გლეხებს და ჯავის ეკკლესიას დაუბრუნდესო.

⁂ ხვედურეთის-ხეობა (გორის მაზრა): 5 აგვისტოს ჩვენის სოფლის მცხოვრებელმა ზაქარია თურმანიშვილმა, მალხაზ ფილიშვილმა და კიდევ მესამემ ვილაც უცნობმა ცეცხლი წაუკიდეს სოფ. ზემო-ხვედურეთის მცხოვრებ თ. დავით ნიკოლოზის ძის ციციშვილის უკვე მომკილსა და კალოზედ სალეწად მიტანილს პურს და ექვსასის მან. ზარალი მისცეს. ზემოხსენებული ორი გლეხი უკვე დააპატიმრა სურამის ბოქაულმა, ხოლო ახლა მესამეს ეძებენ.

⁂ ეკატერინენფელდი: მდინარე ალგეტკას ახლოს, ღამით, ყაზახის მაზრის მცხოვრებელს, როდესაც ცხვარი მიუდიოდა ტფილისში, ოთხი შეიარაღებული კაცი გადმოუდგა წინ და შინაურულად მიესალმა. დიდის მოკითხვის შემდეგ ერთმანეთს გაშორდნენ. როდესაც ყაზახელმა ალგეტკას გააცილა ცხვარი, ისევ გადაუდგა მას იგივე ოთხი შეიარაღებულ-ცხენიანი კაცი და წაართვეს 17 მანათად ღირებული ჩოხა და აგრეთვე რამდენიმე ცხვარი.

⁂ იქიდამვე: 28 მკათათვეს ამავე საბოქაულოს ს. სარაჩლოში, ღამით, ადგილობრივნი მცხოვრებნი, რამდენიმე კაცი, შეპარულიყვნენ ერთის გლეხკაცის ბაღში და ყურძენსა კრეფდნენ. პატრონებმა გაუგეს. ერთმა ძმამ აღარ მოიცადა და გაეჩქარა გასაგებად, რა ამბავიაო, ნახა ქურდები ხეზედ და საშველად ძმას დაუძახა. ძმა მოვიდა და როგორც უნდა ეტაცნა ხელი დასაჭერად ქურდ-ბაცაცასთვის, უკანასკნელმა დაუქნია ხელში ხანჯალი და ნახევარზედ ჩამოაკიდებინა ხელი.

⁂ იქიდამვე: ამავე საბოქაულოს ს. ფახრალოში, 29 მკათათვეს, ადგილობრივმა გლეხმა უსუფ-თანგრივერდი-ოღლიმ მოჰკლა ხანჯლით თავისივე სოფლელი შარიფ-ბუდა-ოღლი. შარიფ-ბუდა-ოღლი და მისი ამხანაგი ალბაბელი მცხოვრებელი დალისტნიდგან სოფელს ახლო ჩამომდინარე წყალზედ ყოფილიყვნენ. ამ დროს უსუფ-ტანგრივერდი, რომელიც სამი დღე არ არის ავაზაკობის გამო თავდებობით გამოუშვეს, ერთის თანამგზავრით მისულიყო მათთან და შარიფ-ბუდა-ოღლისათვის მიეძახნა: „რად წამართვი თოფი ტყეშიო!" პასუხი აღარ დაეცდია და ხანჯალი ამოეძრო მაშინვე. დაენახა თუ არა ხანჯალი, შარიფ-ბუდა-ოღლი გაქცეულიყო. გამოსდგომოდნენ უკან უსუფ-ტანგრივერდი-ოღლი თავის ამხანაგით, მოსწეოდნენ, ამხანაგს მკლავში დაეტყა კეტი და უსუფას მუცელში ხანჯალი. შარიფ-ბუდა-ოღლი დაცემულიყო მაშინვე და უსუფას მოესწრო გაქცევა, ამას შემდეგ შარიფი სახლში წაიღეს, სადაც რამდენსამე საათს შემდეგ განუტევა სული. მკვლელი არ იციან სად არის, ოქმი შემდგარია და გამომძიებელსა აქვს გადაცემული.

⁂ ათს ამ თვისას, დილის ხუთს საათზე, იერუსალიმის ქუჩაზე, თ. არგუთინსკი-დოლგორუკოვის სახლში, ერევნის მცოვრებლის კარაპეტ გრიქუროვის ძის საიკიანცის სადგურის დაუკეტავის ფანჯრიდგან მოიპარეს სხვა-და-სხვა ოქროსი და ვერცხლის ნივთი, სულ 132 მანათისა. ეჭვი მიიტანეს ჯევაარუთინას ძეს გასპაროვზე, რომელსაც იმ ღამეს თავის ნათესავ მუშას აკოფა სააკოვსთან ეძინა. დამნაშავე დაიმალა და ეხლა დაეძებენ

⁂ 9 ამ თთვისას, პოლიციის მერვე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებელი ქიტესა კობიაშვილი წაეჩხუბა ტფილისისავე მცხოვრებელს ავეტიქ სიმონოვს ღვინის ხელადა ესროლა და თავი გაუტეხა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

პოლიციის მერვე ნაწილის მოხელის ვაშაძის გამოძიებამ აღმოაჩინა ლევან ყიფიანის გამქურდავი, განაკარგი პატრონს დაუბრუნეს, ხოლო დამნაშავე-კი ტფილისის მცხოვრებელი სერგეევი, რომელმაც უკვე აღიარა თავისი დანაშაული, და დანაშაულის დამფარავი ვასილი ბარჩუკოვი და იეგორ ქეფინოვი სამართალში არიან მიცემულნი.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ბორჯომი. 4 აგვისტო. აქ საზაფხულოდ მოსულთ გუშინდელი საღამო არ დაავიწყდებათ. ამდენის ძილისა და უფერულობის შემდეგ ძლივს ველირსენით ერთხელაც არის სიამოვნებით დროს გატარებას. სულითა და გულით დაგვატკბეს ქ-ნმა მ. გ. ძნელაძისამ და ბ-ნმა ნ. ს. ცხომელიძემ კონცერტით, რომელიც გაჰმართეს აქ 3 ამ თთვისას. პროგრამა საკმაოდ ვრცელი იყო. საუცხოვოდ შეასრულა ქ-ნმა ძნელაძისამ ერთი ადგილი ბიზეს ოპერა „კარმენიდგან". დაასრულა თუ არა, ბრავოს და ბისის ძახილს ბოლო აღარა ჰქონდა, სანამ ხელ-მეორედ არ გამოვიდა და არ განიმეორა სიმღერა. იგივე განუწყვეტელი ბრავოს ძახილი ასტყდა არდიტის თხუზ. «Z'estasi»-ის გათავებისას. ძნელაძე ისევ გამოვიდა სცენაზე და, ვერ წარმოიდგენთ, რა გრძნობით იმღერა ქართულად «გულნარა». დამსწრე საზოგადოება, რომლის უმეტესი ნაწილი

---

მოგეხსენებათ, რომ წელს ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრებამ ერთი ფრიად მოსაწონი საქმე ჩაიდინა, სახელდობრ ის, რომ ჩვენს დაცემულს მეურნეობას მიაქცია ყურადღება და ჩვენის ასე მრავალ სენისაგან დაჩაგრულ ვენახების საწამლებლად და ასაღორძინებლად გადასდო ბანკის მოგებიდგან ხუთასი თუმანი. ამოირჩიეს კომისია და მიანდეს, რომ ეს ფული თავდარიგიანად მოეხმარებინათ დანიშნულ საქმისათვის. ჩვეულებრივის კრებების შემდეგ კომისიამ გადასწყვიტა, გამართოს სხვა-და-სხვა ადგილას წამლის საწყობები (კახეთში სამგან არის—თელავს, შილდას და ბაკურციხეს, რომელმაც სასიკეთო შედეგი მოიტანა) და მოაგროვოს ამერეთიდგან (ქართლ-კახეთიდგან) ექვსი კაცი (ყოველ მაზრიდგან თითო კაცი), ჩააბაროს ეს ექვსი ყმაწვილი კაცი აგრონომს ბ-ნ ინანაშვილს, რომელიც უკვე დანიშნული იყო მთავრობისაგან წელს თელავის მაზრაში ვენახების საწამლებლადა და ფილოქსერის გამოსაკვლევად, რათა ბ-ნმა ინანაშვილმა აჩვენოს მათ და შეასწავლოს წესიერად წამლის მომზადება, სხვა-და-სხვა მილდიუსა და ნაცრის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა. შემდეგ უქეოდ და უებრად მომზადებისა, ბ-ნ ინანაშვილს შემოდგომამდის უნდა მოეგროვებინა თელავ-სიღნაღის მაზრაში ზემო მოხსენებული ექვსი კაცი და დაეწყოთ წამლობა თავად-აზნაურების მამულებისა, ვინც-კი რასაკვირველია წამალს მაინც არის მიუტანდათ და დათანხმდებოდა თავის ვენახის წამლობას. ამისათვის ამ მოხსენებულს ექვსს კაცს ბანკის ამორჩეულმა კამისიამ დაუნიშნა გადადებულის ხუთი ათას მანეთიდგან თვეში ორმოც-და-ხუთ-ხუთი მანეთი (45) თითოეულს ჯამაგირად, ხოლო ბ-ნ ინანაშვილს ათი თუმანი ყოველ თვეში გასამრჯელოდ.

მეტი არ იქნება ვაცნობო მკითხველებს პროექტი ბ-ნ ინანაშვილისა. რამდენადაც ჩვენ ვიცით ბ-ნმა ინანაშვილმა გადასწყვიტა: მე მთავრობისაგან ჩემის დასით დანიშნული ვარ თელავის მაზრაში ვაზის საკურნებლად. ზნეობითაცა და კანონითაცა მოვალე ვარ უსასყიდლოდ ვაჩვენო და ვასწავლო ყველა მსურველს წამლის მომზადებაცა და წამლობაც, რამდენადაც-კი შესაძლებელი იქნება, ამისათვის მართალია, მდიდარი კაცი არა ვარ, მაგრამ იმ ათს თუმანს, რომელიც ყოველ თთვიურად ბანკმა დამინიშნა, ჩემის ჯიბის გასასუქებლად არ მოვიხმარ, არამედ ჩემდამი რწმუნებულს მთავრობის დასთან ერთად მოვამზადებ ბანკის გამოგზავნილს დასსაც, მოვფენ წელს ყველა ამათ კახეთის სხვა-და-სხვა კუთხეში, ჩავაბარებ თავ-თავის საწამლებლად და მე მთელს ზაფხულს ვიზედამხედველებ და ვიქნები მოგზაურობაში ხან ერთთან, რომ წესიერი თავდარიგი და დარიგება მივცე, ხან მეორესთანაო. ეს ათი თუმანი გზის ხარჯად და ზოგიერთ ღარიბ მემამულეთა წამლისათვის დამჭირდებაო.

როგორც ხედავთ აზრი ჩინებული გახლდათ, მაგრამ, როგორც ზემოდა ვსთქვით, ბანკის გამოგზავნილთ უმრავლესობის უკიდურესმა საქციელმა დაშალა და დაარღვია ეს კეთილი საქმე.

ბოროტი ენები იმასაც ლაპარაკობენ: უფრო იმაზე გაფხუკიანდნენ ეს ვაჟბატონები, რომ ჩვენ დიდი გვარიშვილები ვართ და გუდების ზურგით ტარებას არ ვიკადრებთო. მე პირადად არა მჯერა ეს ძნელად დასაჯერებელი ამბავი და თუ მართალია, რად ავიწყდებოდათ იმ დალოცვილებს, რომ სწავლისა და მეცნიერების წინაშე ყველაფერმა უნდა მოიდრიკოს და მოიხაროს ქედი. ვინ არ იცის ჩვენს დროში, რომ ცალიერი გვარიშვილობა ცალ მანყულად, ერთ მწვანე კიტრადაც არა ღირს, თუ იმასთანვე ადამიანს სწავლა-განათლება, ჭკუა-გონება, ზრდილობა და მოხერხებაც არა აქვს?!.

„თუ კაცი ვარგა, რად უნდა
მისი მოდგმისა ცილობა,
თუ თვით არ ვარგა, რას არგებს
მამა-პაპათა შვილობა?.."

ჩვენ იმათი ასავალ-დასავალი აღარ ვიცით მაისიდგანვე და არც ის ვიცით კიდეც, ეძლევათ ჯამაგირი რამ თუ არა!.. ხოლო რაც შეეხება ბ-ნი ინანაშვილის ჯამაგირს, ნამდვილად ვიცით, რომ ამ უსიამოვნო ამბის შემდეგ არ ინდომა და უკანვე დააბრუნა ფული, ათი თუმანი.

ყველა ზემოხსენებული უსიამოვნება და განხეთქილება უტყუარი ნიშანია ერის უკიდურესად უკან დაწევისა და დაცემისა. მეტად, მეტად დავბეჩავდით, დავჩავდით(?) და გავქალაჩუნდით სულითაცა და ხორცითაც, აღარა გვაქვს ის მტკიცე ხასიათი და სული, ეროვნულის გრძნობით გალვივებული და განახლებული, რომელიც აუცილებელს კუთვნილებას შეადგენს ყოველის რიგიანის ადამიანისას, ჩვენდა სამარცხვინოდ და სათაკილოდ ყველგან და ყოველთვის ჩვენი დამამცირებელი ფუჭე თავ-მოყვარეობა და ულირსი პირადი ქიშპი უნდა წავაყენოთ ხოლმე წინ და მას უნდა შევსწიროთ ყოველივე საზოგადო საქმე, ერისა და ქვეყნის გამოსადეგი. მხოლოდ ეს ულირსი ხასიათი მოგვეფხანს გულს და მოგვგვრის სიამოვნების ჟრუანტელს... დიაღ, წამხდარ გრძნობას მხოლოდ სიბოროტე ახარებს!!.

ავიღოთ თუნდა მაგალითისათვის აწ უკვე გარდაცვალებული საზოგადოება დეპო თელავისა, რომელიც სულ ერთი თთვე არ იქნება მას აქეთ, რაც სასამართლოს ბოქაულის ჩაქუჩის რახა-რუხის ქვეშ გაიყიდა, გაიყიდა მთლად იაფად, თითქმის მუქთად, ყოველის ფერი ნივთეულობა. ადამიანს ცოტა რამ ადამიანური ნიშან-წყალი თუ კიდევ მოეპოვებოდა, შეჰზარავდა იმ დეპოს ასე გაწყვეტა და აფორიაქება. და რამ მიიყვანა ეს კარგი დაწესებულება იქამდის, თუ არ ჩვენმა უკიდურესმა ფუჭე პირადმა თავ-მოყვარეობამ, გულ-ქვაობამ, ერთმანეთის მტრობამ, შურმა და ქიშპმა?! დიაღ! ეს ამ რვა-ცხრა წლის გამოზრდილი და გამოჩარჩნილი, ნაამაგარ-ნალვაწი დაწესებულება დაარღვია და გაანადგურა ჩვენმა უთაურობამ, ჩვენმა ერთმანეთის უგუებამ-უკავშირობამ და ერთმანეთის პირადმა მტრობამა და ქიშპმა. როდესაც დეპოს უკანასკნელს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე ერთმა წევრმა წარმოსთქვა: „ზარალი და მოგება ძმანი არიან, ნათქვამიაო, თუ ზარალია, ვის არ მოსვლია ზარალიო!! ჩვენ სამოცზე მეტი ამ-

ქართველობა იყო, სწორედ აღტაცებაში მოვიდა. ამა'ს შემდეგაც რამდენჯერმე გამოიწვიეს. კონცერტი დასრულდა მოცარტის თხუზ. „La cidarem lamano“-ს გალობით, რომელშიაც ძნელაძესთან ერთად ცხომელიძეც იღებდა მონაწილეობას. კონცერტის გათავების შემდეგ საზოგადოება არ ეშვებოდა და ისევ იწვევდა სცენაზე, მაგრამ მარტო ცხომელიძე გამოვიდა და „დემონიდგან“ იმღერა.

ქ-ნ ძნელაძისას თუმცა დიდი ხმა არა აქვს, მაგრამ, რაცა აქვს, მეტად ამო, ყურთა სმენის დამატკბობელი და რიგიანად შემუშავებულია. ამას გარდა ქ-ნი ძნელაძისა მეტად შნოიანი და მოხდენილია და თავიც კარგად უჭირავს სცენაზედ გალობის დროს.

საღამოს 11 საათზე ყველანი დიდად ნასიამოვნებნი დაიშალნენ. არ მოველოდით, თუ საზოგადოება ასე ნაკლები იქნებოდა, ვინც იყო, ისიც ქართველობა. საკვირველია, ამას წინად ვიღაც მაწანწალის წარმოდგენაზე, რომელიც „მაგიის პროფესორს“ და ›ცეცხლის მეფეს› უწოდებდა თავის თავს, დარბაზში ტევაც აღარ იყო, და ბოლოს ყველანი პირში ჩალა გამოვლებულები დარჩნენ, და გუშინ-კი, სადაც რომ მართლა უნდა წასულიყვნენ, სიამოვნების მეძიებელნი გაწყდნენ.

შემოსავალი, როგორც გვითხრეს, ხარჯს დაჰფარავს და რამდენიმე თუმანი კიდევ დარჩებაო. ფულის მხრივ კი კონცერტი ვერაფერი იყო, როგორც ჰხედავთ, მაგრამ, სამაგიეროდ, მოკონცერტედ დიდი თანაგრძნობა და პატივის ცემა დაიმსახურეს საზოგადოებისა და თავიც ისახელეს. დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, რომ, თუ მეორედ გამართეს კონცერტი, ყველა დიდის სიამოვნებით მოისმენ'ს იმათს გალობას და ხარჯს არ დაჰზოგავს. თუ კიდევ გამართეს კონცერტი, ქ-ნი ძნელაძისა დიდად დაავალებდა აქაურ ქართველ საზოგადოებას, რომ კონცერტის პროგრამაში თუ სულ არა, რამდენიმე მაინც ქართული სიმღერაც ჩაურთას.

თედო სახოკლი

◆◆

## რუსეთი

პეტერბურგში არსდება ვაჭართა საზოგადოება, რომელსაც განზრახვა აქვს სპარსეთში ვაჭრობა გააძლიეროს. ამ საზოგადოებას არავითარიმე შემწეობა არ ექნება რუსეთის მთავრობისაგან. საზოგადოებას უმთავრეს საგნად ის ექნება, რომ რაც შეიძლება მეტი სავაჭრო გაგზავნოს სპარსეთში კავკასიით. რამდენსამე სავაჭრო გზა ალაგას გაჰმართავს კანტორებს, რომლებმაც უნდა განაგონ სავაჭროს გაგზავნ-გამოგზავნა. ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება რუსეთის მექარხნეებთან და მრავალი სხვა-და-სხვა საქონელი შეუკვეთეს. ყველაზე მეტი სავაჭრო უფრო ჩითეულობა იქნება.

— დასავლეთს რუსეთში ამ ჟამად ბევრი უცხოელია, რომელნიც აქეზებენ ხალხსა, ამერიკაში და სხვა შორეულ ქვეყნაში გადასახლდიო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიტყო რა ეს ამბავი, სასტიკად აუკრძალა უცხოელებს ამ გვარი ქცევა და ხალხის წაქეზება.

— მოსკოვში აარსებენ სწავლულთა საზოგადოებას, რომელმაც რუსეთის ბიბლიოგრაფია უნდა შეიმუშაოს. ამ საზოგადოების წევრთ ვალად ექნებათ, რომ დაწვრილებით აწერონ ყოველივე ძველი რუსული წიგნი და ხელთნაწერი. წესდება ამ საზოგადოებისა შემუშავებულია და შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდეც დაამტკიცა. ამ საზოგადოებას ეწოდება „მოსკოვის საბიბლიოგრაფიო საზოგადოება.“

— გაზეთები იუწყებიან, რომ ქარხნებში მომუშავე ყმაწვილების შესახებ გამოცემული წესდებისამებრ უნდა ეშვღავათოთ იმ ყმაწვილებსაც, რომელნიც დუქნებსა და მაღაზიებში ემსახურებიან. ამ წესდების ძალით, ქარხნის პატრონი იქნება, თუ მაღაზიისა, მცირე წლოვანს მოსამსახურეს ყოველივე შეღავათი უნდა მისცეს, რაც წესდებაში ჩამოთვლილია, და თუ ძლიერ პატარაა ყმაწვილი, მაშინ სკოლაშიაც უნდა ატაროს წერა-კითხვის შესასწავლად.

— ქალაქ ლეოეში პოლიციას აღმოუჩენია მთელი ბრბო ქურდებისა, რომლებიც ძაღლის ხორცს სჭამენ თურმე. ეს გარემოება ყოფილა იმის მიზეზი რომ ბევრჯელ უეცრად იკარგებოდნენ ხოლმე ძაღლები და პატრონები ვეღარა ჰპოულობდნენ. ამ ქურდებმა სთქვეს თურმე, რომ ძაღლის ხორცი ძლიერ გემრიელიაო. ეს ამბავი ისე საოცარი აღარ იქნება, თუ მკითხველი გაიხსენებს, რომ ჩინეთში დიდი ხანია ძაღლის ხორცსა სჭამენ. პატარა ლეკვები ძალიან გემრიელ საჭმელად ითვლება იმ ქვეყანაში.

— ქალაქ პსკოვის ვაჭრებმა ამას წინად იუბილეი იდღესასწაულეს იმისი, რომ 25 წელიწადია, რაც კვირაუქმობით ვაჭრობა მოისპო ჩვენს ქალაქშიო. 1865 წელს ვაჭრებს უთხოვნიათ გუბერნატორისთვის, წესდება გამოეცით, რომ კვირა უქმობით ვაჭრობა აიკრძალოს და ნოქრებმა შეისვენონ ხოლმეო. იმათი თხოვნა შეუსრულებიათ და ეხლა უკვე 25 წელიწადია, რაც ეს ფრიად სასარგებლო წესი შემოღებულია და ყველა მოვაჭრე ასრულებს. გარდა იუბილეის დღესასწაულისა, ვაჭრებს კრება მოუხდენიათ და ერთ-ხმად გადაუწყვეტიათ, სკოლა დავაარსოთ ნოქრებისათვისაო და თანაც თანხა შევადგინოთ, რომ მოხუცებულსა და ცოლ-შვილიან ნოქრებს გაჭირების დროს შემწეობა აღმოუჩინოთ ხოლმეო.

◆◆

## უცხოეთი

გერმანია. გერმანიის იმპერატორს ტყუილად არ ეძახიან მოგზაურს იმპერატორს, რადგან გამეფებიდგან ერთავად დადის, ხან ერთს სახელმწიფოს ეწვევა ხოლმე და ხან მეორეს. აი ეხლა-ხან კიდევ იმპერატორი ინგლისში იყო და ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთებში. ყველამ ყურები სცქვიტა, ინგლისიც ხომ არ ჩაერია სამთა კავშირშიო. ბერლინის გაზ. ‹Post›-ს, მაგალითებრ, ლონდონიდგან აუწყებენ, რომ იმპერატორ ვილჰელმის აქ ყოფნის დროს, იმასა, დედოფალ ვიქტორიასა, უელსის პრინცსა და მარკიზ სალისბერს შორის რაღაცა თათბირი და ბჭობა იყო და ამ მოლაპარაკების „შედეგი ისევე გააკვირვებს საზოგადოებას, როგორც ინგლისსა და გერმანიას შორის აფრიკის გამოისობით შეკრულმა კონვენციამ გააკვირვაო“. ახეთივე ამიცანა ამბავი დაჰბეჭდა ბერლინის Nordduitsche Allgemeine Zeitung“-მა და უფრო გაუღვიძა ცნობის მოყვარეობა გაზეთებს. ეხლა ყველა იმასა ჰკითხულობს, რაზედ უნდა ჰქონოდეს იმპერატორს ვილჰელმს ინგლისში თათბირიო? ზოგიერთნი ამბობენ, რომ ინგლისსა და გერმანიას შორის სატევი და საგერი კავშირი შეკრულიაო; მეორენი იმას გაიძახიან, რომ ინგლისიც ჩაითრიეს და სამთა კავშირში ახლა ისიც მონაწილეობას იღებსო, თუმცა ამ მეორე ამბავს დიდად უარ-ჰყოფენ ზოგიერთი საპოლიტიკო წრეები.

ამბობენ იმასაც, რომ ამას წინად უკვე ლაპარაკი იყო, ელზას-ლოტრინგია ნეიტრალურ ქვეყნად უნდათ აქციონ და გერმანიის პრინცი დაუყენონ მთავრადაო. შეიძლება ამ პროვინციების მთავრობა დედოფალ ვიქტორიას მეორე შვილს დაუთმონ, ჰერცოგს ედინბურგისას, რადგან იგივეა მემკვიდრე საქსენ-კობურგ-გოტის საჰერცოგოსიო. ჰერცოგს ედინბურგისას ამ მთავრობით დააკმაყოფილებენ და საქსენ-კობურგ-გოტის საჰერცოგო კი, ჰერცოგის ერნსტის გარდაცვალების შემდეგ პრუსიის სახელმწიფოს მიეთვლებაო. დადის ის ხმაც, ვითომ გერმანიის იმპერატორს ევროპის სახელმწიფოთა საერთო იარაღის აყრის შესახებ უნდა ჰქონოდა თათბირიო. დაჰეშმარიტებით ამ ნალაპარაკევისა ჯერ არავინ არა იცის რა, ხოლო ამ ამბავმა-კი გული გაუმაგრა ავსტრიას, რომელიც ჰშიშობდა, რომ ვილჰელმი ინგლისიდგან რუსეთში მიდის, ვაი თუ რუსეთს მოურიგდეს როგორმე, ბოლგარია გასწიროს და მე-კი პირში ჩალა გამოვლებული დავრჩეო.

მართლაც, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ამ ჟამად რუსეთშია და ხმა დადის, რომ ამით არ დააბოლოვებს თავის მოგზაურობას ეს ნორჩი იმპერატორი და განზრახვა აქვს საფრანგეთისკენაც შეიაროსო. გაზ. „Siécle“ ამბობს, მაგალითებრ, რომ „ნამდვილად ვიცით, გერმანიის იმპერატორს გულით უნდა საფრანგეთში შევლა, თუ დარწმუნდა, რომ ფრანგები ამისი წინააღმდეგნი არ იქნებიანო.“ მაგრამ ძნელად თუ აუსრულდეს ეს გულით მანდომება ნორჩს იმპერატორს გერმანიისას, რადგან ფრანგები მეტად მტრულის თვალით უყურებენ და ძნელად თუ თავი შეიმაგრეს და თავისი უსიამოვნება თვალითაც არ დაანახვეს. ამას აშკარად ამტკიცებს, სხვათა შორის, იმათის გაზეთების კილოც. „Figaro“-ს, მაგალითებრ, მოჰყავს ზემოხსენებული „Siécle“-ს ამბავი და თავის მხრივ დასძენს, რომ: „თუ გერმანიის იმპერატორი“ მეცსა და სტრასბურგს დაგვიბრუნებს, მობრძანდეს, ამ შემთხვევაში ფრანგებსა და გერმანელებს შორის საუკუნო მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო.

◆◆

## დეპეშა

10 აგვისტო

პეტერბურგი. საფრანგეთიდგან დაბრუნებულმა სამხედრო მინისტრმა გუშინ დაიწყო თავისის თანამდებობის აღსრულება

გაზეთები ამბობენ, რომ ფინანსთა მინისტრს მომავალ რუსეთში მოგზაურო-

---

ხანაგი ვართ და სირცხვილია ჩვენთვის ერთი სავაჭრო საწვრილმანო დუქანი ვერ შევინახოთ და მაგის ზარალსა და მოგებას ვერ გაუძლოთ. მოდით, ხალხნო! ნუ გავხდებით მტრისა და მოყვრის საკიცხველი და აქაურ მოვაჭრეთა სასაცილო, ჩავიდეთ ამხანაგები კიდევ ფულს, შევასრულოთ ჩვენი წილის ფული ათ-ათ თუმნამდის... ჯერ ვინც აქა ვართ (თითქმის ოცამდის ამხანაგი იყო კრებაზე), თუ ყველა არ იკისრებს, წილით ფულის მიმატებას, რჩეულებმა მაინც უნდა ვიკისროთ. ამას გარდა შევატყობინოთ ზოგიერთს ჩვენს კარგსა და გულ-შემატკივარს ამხანაგებს და იმედია, ისინიც არ დაიხევენ უკან და მხარს მოგვცემენ“ და სხვ. და სხვ. უმრავლესობას სიცილად არ ეყო ეს აზრი და, როდესაც ორიოდემ მათ სიცილი გაუტრიზავა, მაშინ წამოყო თავი ერთმა საზოგადოებაში „ბოხ ხმიანმა“ და მიმართა ზემორე აზრის წარმომთქმელს მედიდურის კილოთი:

— აბა რა სთქვით ეგა!?. ევ როგორ წამოგცდათ? ვინ იქნება გიჟი, რომ ჩამოიდეს კიდევ ფულს?! რაც ჩამოსულან, ისიც ვერ გაუტანიათ!! აბა დამისახელეთ ერთი, რომელი უნდა ჩამოიდეს კიდევ?!

— ბატონო! რადა ცხარობთ! ჯერ ერთი მე თქვენი უმორჩილესი მონამოსამსახურე და ყველა ამხანაგზე ულარიბესი და ულატაკესი ჩამოვალ ფულს და შევასრულებ ათ თუმნამდე.

— ეგ თქვენ და სხვა, სხვა?!? (ხალხში სიცილია და ყველას თვალები იმ ერთს მისჩერებია).

— მე თუმცა ვატყობ, უპასუხა პატარა კაცუნამ, რომ უმრავლესობა აქ წინააღმდეგია ჩემის აზრისა, მაგრამ, როგორც ამხანაგიო, ვთხოვ თავ-მჯდომარეს, ამ საგანს კენჭი ჩამოგუტაროს მხოლოდ მანამდე-კი, ვიდრე იმას უყრიდნენ კენჭს «დეპო ჩაქუჩით გავყიდოთ, თუ რომელსამე სომეხ-მოგაჭრეს მივყიდით ერთბაშადაო“. ამასთანავე უნდა დავძინო ზოგიერთების საყურადღებოდ, რომ აქ მყოფთ გარდა, კიდევ სხვებიც არიან ამხანაგნი, ერთი-ორზე მეტიც, და საბუთი არა გვაქვს, ისიც არ ვიფიქროთ, რომ იმ ამხანაგებთა შორის არ მოიპოვებოდეს ჩვენზე ერთი-ორად გულ-შემატკივარი და მხარის მიმცემიო და სხ. როდესაც კენჭი უყარეს, ფულის ჩამოსვლას, მარტოკა ბ. მ. ციციშვილი და სამი კიდევ სხვა კა'ცი მიემხრო ამ აზრს, დანარჩენები წამოხტნენ, ფეხზე და ჰყვიროდნენ: „არ გვინდა, არ გვინდა დეპოს დახმარებაო!“ ამოვირჩიოთ კამისია, ან ერთ აშად გავყიდოთ და ან, როგორც ბოქაულ სა აქვს აწერილი, ჩაქუჩ-ქვეშ გაიყიდოს!“ ამოირჩიეს კამისია ხმის უმეტესობით და ჩაქუჩით გააყიდვინეს, თითქმის მუქთად გადააყრევინეს საქონელი.

დასაწყისშივე გამოსარკვევი იყო შემდეგი გარემოება: დეპოს გამყრელიძის მეუღლისა ემართა ასი თუმანი, ამ ორიოდე თვის წინად ახალს გამგეობას კიდევ უსესხნია დეპოსათვის ორმოცი თუმანი გამყრელიძის მეუღლესაგანავე. აი ამ ქ. გამყრელიძისამ მოსთხოვა ერთბაშად დეპოს ეს ფული და, რადგანაც გამგეობამ არ მოუხერხა, მოიყვანა ბოქაული და ააწერინა დეპო და დაპეჭდა, ეს საქმე რაღაც ნაირად მიხერხებულსა ჰგავდა, თორემ გამგეობის წევრებს რომ თავი გამოედოთ და ან ამხანაგებს მაინც სდომებოდათ დეპოს სიცოცხლე, ძლიერ ადვილი გადასარჩენი იყო ყოველს ფათერაკს...

სიკვდილამდე არ დამავიწყდება სიტყვა მოთმინებიდგან გამოსულის სასამართლოს ბოქაულის ბ. პ. ტ. პაპოვისა, რომელმაც გულ-წრფელად და სასო-წარკვეთილებით უსაყვედურა დეპოს ერთ-ორს უმთავრესს ამხანაგს ნახევრად გაყიდვის შემდეგ:

— ეს უბედურება თქვენი ბრალია, თქვენ რომ წესიერად და დეპოს გულ-შემატკივრად მოქცეულიყავით, დეპოს ეს არ მოუვიდოდა. როდესაც მე მომიწვია ბ-ნმა გამყრელიძემ საზოგადოების დეპოს ასაწერად, თქვენ, როგორც წარმომადგენელი უთუოდ უნდა დასწრებოდით და იქავე ყოფილიყავით აწერის გათავებამდის. ბ-ნ გამყრელიძე არ არის მცოდნე საქონლის ფასისა და ამიტომ ყველაფერს ნახევრის-ნახევარ ფასსა სდებდა. თქვენ ძლიერ ადვილად შეგეძლოთ, აგეხსნათ ბ-ნ გამყრელიძისათვის საქონლის ფასი. ამ გვარად საქონელი უფრო კაი ფასად გაიყიდებოდა, ბ-ნი გამყრელიძეც არავითარს ზარალს არა ჰნახავდა და დეპოც, დიდად ისარგებლებდა. გამყრელიძეს ას ორმოც თუმანში ნახევარ დეპოს საქონელი აუდგებოდა, ამ გვარად ნახევარი დეპო იქნებოდა აწერილი, ნახევარი-კი ივაჭრებდა და ვაჭრობა არ შეჩერდებოდა. ძალიან შესაძლებელი იყო, რომ ნავაჭრის ფულითაც დაგვეკმაყოფილებინათ ბატონი გამყრელიძე. ესეც რომ არა ყოფილიყო, ასე მუქთად მაინც აღარ გადაიყრებოდა ამხანგობის ქონება... ხომ მოგეხსენებათ, ნათქვამია: ‹მართლის მთქმელს ცხენი უნდა ჰყავდეს შეკაზმულიო› და ბ-ნი პაპოვიკი იმ ჟამად ფეხით ბძანდებოდა და კინაღამ ხათაბალა არ მოუტყდა ამ სიმართლის თქმისათვის!!.

თუმცა, როგორც ზევით არის ნათქვამი, ნახევარ ფასად გაიყიდა ყველაფერი, მაგრამ კიდევ ას სამოც თუმანზე მეტი ამოიღო და ამ ფულს თუ მიუმატებთ იმ ოთხმოც თუმანსაც, რომელიც ნისიად ყოფილა და რომელსაც გამჭრიახე კაცი ადვილად მოჰკრებდა, მაშინ ადვილად დაერწმუნდებით, რომ იოლად წავიდოდა დეპოს საქმე და თუ არავინ უხიმანებდა, ისე არ დაეცემოდა... მაგრამ ამას ერთობა უნდოდა, ამხანაგთა შორის საქმის სიყვარული და ეს-კი სად არის ჩვენში? განა თვით პ—ტიევ არ ამბობს:

„...არსადა სჩანს ძალა შეერთებული,
შრომა—ტკბილი, აზრი—წმინდა, ქებული;
სიტყვით ვგმირობთ, და საქმეში ვსუსტდებით
ლხინში ვმძლავრობთ ჭირში-კი ვიკუნტებით

—

ორი კაცი ერთს გზაზე ვერ დამდგარა,
ერთი შრომობს, ასი განზე გამდგარა;
ყველასა აქვს კერძო შეხედულება,
კერძო აზრი, კერძო მიმართულება
პირადობა ტახტზე აუყვანიათ,
მის წინაშე მსხვერპლად მიუტანიათ
მსხვერპლი წმინდა—მშობლიური ქვეყანა!!

მეთვალყურე

ბის დროს თან ახლდებიან, სხვათა შორის, რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორი ფონ-ვიტტე და ა. ნ. მაიკოვი.

„Новости“ იუწყება, რომ აწინდელი საზაფხულოდ დათხოვნის ვადა გიმნაზიების მოწაფეებისა ორის კვირით არ იქნება გახანგრძლივებული, ვინაიდგან ახალი პროგრამა მხოლოდ მომავალ სასწავლო წლიდგან იწყებს მოქმედებასა.

გაზეთები იუწყებიან, რომ ნება დართულია გაიმართოს მოსკოვში საფრანგეთის სამრეწველო გამოფენა, რომელიც 1891 წ. 1 მაისიდგან დაიწყება და 1 დეკემბრამდე გასტანს. ამ გამოფენას საფრანგეთის მთავრობა ჰმართავს და საფრანგეთის უმთავრესი სამრეწველო ამხანაგობანი იღებენ მონაწილეობას.

ხმა დადის, საფრანგეთის ამხანაგობამ განაცხადა, რომ თუ საჭირო იქნება, ჩვენც დიდის სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას კავკასიის უმთავრეს უღელტეხილზედ რკინის გზის გაყვანის საქმეშიო.

ამას წინად პეტერბურგიდგან წავიდა ველოსიპედით კრონშტადტის მეციხოვნეთა არტილერიის პოდპორუჩიკი ბარტოსი იმ აზრით, რომ ბერლინსა და პარიჟზედ უნდა გაიაროს კალემდე, გემით ლუვრში გადავიდეს, იქიდგან ისევ ველოსიპედით ლონდონში მივიდეს და შემდეგ იმავე გზით დაბრუნდეს სახლში.

ოდესაში ჰმართავენ განსაკუთრებულს ნავთის ნავთ-სადგურს, რომლისათვისაც 1½ მილ. მან. გადადებული.

ნარვა. ხელმწიფე იმპერატორმა 5,000 მან. შესწირა უსტ-ნარვაში მართლ-მადიდებელთა ეკკლესიის აშენებად.

მათნი უდიდებულესობანი და გერმანიის იმპერატორი ალლუმებზედ ჰბრძანდებოდნენ და საღამოზე უკანვე დაბრუნდნენ. გერმანელი კაპრივიც იყო ალლუმზედ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საიარმუკო კომიტეტის თავმჯდომარედ ამორჩეულია საბა მოროზოვი.

იარმუკის საქმე კარგად მიდის; ფასები კარგია. ჩითეულობა მალიან იყიდება; ლომის საქონლის ვაჭრობა სუსტად მიდის; მიტკალი კაი ფასად იყიდება, და მოსკოვის ფასებზედ ¼ და ⅜ კაპ. მეტად; კარგადვე იყიდება მაუდეულობა; დაბალი მაუდი შარშანდელზედ 2—3% ნაკლებ ჰფასობს; 3 მან. და მეტ-ფასიანს მაუდს შარშანდელზე ფასი აქვს. ბანკების დისკონტი 6 და 9 საექვსილო თვემდე 6%-ია.

გუშინ ვოლგაზედ, სუმკას სოფელთან, კოზმა-დემიანსკს ახლო, დაიღუპა ხალხისა და საქონლის ხომალდი „ალექსი“. ადამიანთაგანა არავინ დაღუპულა.

ბელგრადი. მილანი დაუფარავად უწევს წინააღმდეგობას ეხლანდელს წესწყობილებას. ხალხი დრტვინავს.

ბერნი. კანტონში დიდი ქარიშხალი ამოვარდა, 150 სახლი დაიქცია და 20 კილომეტრის სიგრძის ტყე წაახდინა. საქონელი დიდ-ძალი დაიღუპა. ადამიანთა დაღუპვისა ჯერ არა ისმის-რა.

ლონდონი. გამოჩენილს მაგარაჯას დუ-ლიპ-სინგს, რომელმაც აღიარა, რომ ინგლისსა ვმტრობდიო და მოინანია ცოდვა, დედოფალმა ვიქტორიამ აპატია დანაშაული.

ვენა. აქაური სერბიის საელჩო უარჰყოფს იმ ხმას, რომ ვითომ სერბიას განზრახვა ჰქონდა ყოველივე სავაჭრო კავშირი მოეშპო ავსტრი-ვენგრიასთანა.

სოფია. ხოლოპკოვი უკვე წაიყვანეს ბოლგარიის საზღვარზედ, რათა რუსეთის მთავრობას გადასცენ.

ნიუ-იორკი. ქარტეხილმა დიდი უბედურება დაატრიალა პენსილვანიაში 30-მდე კაცი მოკლულია და 180-მდე დაჭრილი.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი 5-დგან 4%-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 7 აგვისტო.

| | მყიდველი ჰყავდა. მან. კ. | გამყიდველი ჰყავდა. მან. კ. | გაიყიდა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6, 58 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | 131¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 10 | „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 230 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 220 |
| —მესამისა | — „ | — „ | 215 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება
გამოცემა „ქართულის საღმრთო წიგნთ-საცავისა“
ცხოვრება წმიდისა, მოწყალისა და მართალის
**ფილარეტისა**
ფასი წიგნისა ორი შაური, ვინც ოც ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის, 20% დაეთმობა.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
**გოლკილი**
დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა
დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.
ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:
ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,
შედგენილი
მოსე ჯანაშვილის-მიერ.
ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა
ჟურნალ „**ნობათი**“-ს
ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი», —სულ თერთმეტი წიგნი ღირს
**2 მან.**
ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:
ქართული-რუსული
**ლექსიკონი**
დ. ჩუბინაშვილისა
ფასი 2 მან.
რუსული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიამ
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა | „ | 60 |
| ძველის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „ | 25 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
**ივერია**
1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვეის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-ვგარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:
**დედა ენა და ბუნების კარი**
გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:
Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
**„ისტორიული ნარკვევი“**
ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.
ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავ. ნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Доз. ценз Тифлисъ, 10-го Августа 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე